

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო სავეტერინარო მედიცინაში

დარგობრივი სფეროს აღწერა

სავეტერინარო მედიცინა არის მეცნიერების და პრაქტიკული მოღვაწეობის ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის, ფრინველის, თევზის და ფუტკრის დაავადებების პროფილაქტიკასა და მკურნალობას. ვეტერინარიულ-სანიტარიული თვალსაზრისით კეთილსაიმედო მეცხოველეობის პროდუქტების, აგრეთვე ცხოველური წარმოშობის ნედლეულის წარმოებას; იგი მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა მიზანია მოსახლეობის დაცვა ცხოველებისა და ადამიანის საერთო გადამდები დაავადებების(ზოონოზები) და ტოქსიკონფექციებისაგან.

სავეტერინარო მედიცინის ძირითად მიმართულებებს განეკუთვნება: ვეტერინარია, სავეტერინარო ფარმაცია და სავეტერინარო სანიტარია. აერთიანებს: ინფექციურ, ინვაზიურ, არაგადამდებ და ზოგად პათოლოგიებს, მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ მიმართულებებს. „ვეტერინარიის“ საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შემდეგ სპეციალისტი დებულობს დიპლომირებული ვეტერინარის დიპლომს. ფაკულტეტზე სწავლება მიმდინარეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით.

აკადემიური ხარისხის პროფილი

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე სწავლება სამსაფეხურიანია და სწავლების თითოეულ საფეხურზე ცოდნის მიღება ხდება რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით, რომელიც მოიცავს:

1. სწავლების პირველ საფეხურს დიპლომირებული ვეტერინარი ექიმის საგანმანათლებლო პროგრამით, რომლის ხანგრძლივობა 6 წელია (მოიცავს 360 კრედიტს) და მისი დასრულების შემდეგ გაიცემა დიპლომირებული ვეტერინარის დიპლომი, რომელიც გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან. დიპლომირებულ ვეტერინარს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს რეზიდენტურაში ან / და მაგისტრატურაში.
2. რეზიდენტურა სავეტერინარო აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურია, რომლის გავლა შეიძლება დიპლომირებული ვეტერინარის ან მასთან გათანაბრებული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ.
რეზიდენტურა საშუალებას იძლევა მომზადდეს კადრი კონკრეტული მიმართულებით (ქირურგია; გინეკოლოგია და გამრავლების ბიოტექნოლოგია; სამკურნალო და პროფილაქტიკური საქმიანობა; მეცხოველეობის პროდუქტების ექსპერტიზა სავეტერინარო სანიტარიით და სხვ.).
მაგისტრატურაში ისწავლება სავეტერინარო ფარმაცია და სავეტერინარო სანიტარია.
3. დოქტორანტურა სავეტერინარო აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურია. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს რეზიდენტს, მაგისტრის ან მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებულ დიპლომირებულ ვეტერინარს.

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე დოქტორანტურაში სწავლება წარმოებს ოთხ სპეციალობაზე:

1. ცხოველთა პროპედევტიკა, ქირურგია, გინეკოლოგია და გამრავლების ბიოტექნოლოგია;
2. ცხოველებისა და მათი პროდუქტების ჰიგიენა, სავეტერინარო-სანიტარიული ექსპერტიზა, ფარმაკოლოგია და ტოქსიკოლოგია;
3. სავეტერინარო მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, ეპიზოოტოლოგია, მიკოლოგია, იმუნოლოგია და პარაზიტოლოგია.
4. ცხოველთა პათოლოგია, ონკოლოგია და მორფოლოგია.
დოქტორანტურის დასრულების შემდეგ გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხი შესაბამისი სპეციალობის და განხრის მითითებით.

დასაქმების სფეროები/შემდგომი სწავლება

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებით უფლება აქვს იმუშაოს ვეტერინარ ექიმად, სახელმწიფო და კერძო სამსახურებში, კერძოდ: სადიაგნოსტიკო სავეტერინარო ლაბორატორიებში, ხორც-საკონტროლო სადგურებსა და ლაბორატორიებში, სახელმწიფო და ფერმერულ მეურნეობებში, უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, სავეტერინარო მედიცინის კერძო სავეტერინარო კლინიკებში, აფთიაქებში, მაღაზიებში, ინდივიდუალურ და ერთობლივ სამკურნალოებში, ცხოველების კერძო კოსმეტიკურ კაბინეტებში და სხვა ანალოგიურ სამსახურებში. თავდაცვის სამინისტროს, სასახლერო ჯარების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამსახურის, სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს, სხვა სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, ორგანიზაციების, უწყებების, დაწესებულებების, საწარმოების, ფირმების, კორპორაციების და ა.შ. სავეტერინარო მედიცინის სამსახურებში და სხვ.

დიპლომირებული ვეტერინარის სამოქმედო არეალი შემოისაზღვრება უზრუნველყოფითი საქმიანობითა და გადაწყვეტილებების მიღებით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხოლო რეზიდენტისა და მაგისტრის სრული კომპეტენციით სპეციალობისა და შესაბამისი მიმართულების ფარგლებში.

სწავლის შედეგების დესკრიპტორები

სავეტერინარო მედიცინის თითოეული დონისთვის სწავლის შედეგების დესკრიპტორები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. ცოდნა და გაცნობიერება

ფუნდამენტური დისციპლინების ცოდნა დიპლომირებული ვეტერინარის საფეხურზე, რომელიც აერთიანებს საფაკულტეტო სავალდებულო (ზოოლოგია, ცხ. ფიზიოლოგია, სავეტერინარო მიკრობიოლოგია, სავეტერინარო ვირუსოლოგია, ბიოტექნოლოგია, უცხო ენა) და საფაკულტეტო არჩევით (წამალთა ტექნოლოგია, ფარმაკოთერაპია, სანიტარიული მიკრობიოლოგია, სავეტერინარო სანიტარია) დისციპლინებს, რომლის ათვისებაც ხელს უწყობს და ქმნის საგანმანათლებლო ბაზას სპეციალობის სავალდებულო დისციპლინების ასათვისებლად, განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია საფაკულტეტო სავალდებულო დისციპლინებში მიღებული ცოდნა.

სპეციალობის სავალდებულო დისციპლინები ანუ ძირითადი ფუნდამენტური და კლინიკური დისციპლინები (ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ცხ. ანატომია, პათოლოგიური ფიზიოლოგია, ფარმაკოლოგია, ტოქსიკოლოგია, ზოოჰიგიენა ეკოლოგიით, კლინიკური დიაგნოსტიკა რენტგენოლოგიით, იმუნოლოგია, პათოლოგიური ანატომია, მეანობა და გამრავლების ბიოტექნოლოგია, ფუტკრის ბიოლოგია და დაავადებები, თერაპია, ქირურგია, პარაზიტოლოგია, ეპიზოოტოლოგია და ინფექციური დაავადებები, ვეტერინარიულ-სანიტარიული ექსპერტიზა, ცხ.გაკვეთა, სასამართლო სავეტერინარო ექსპერტიზა, ვეტერინარიული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა. აღნიშნული დისციპლინებით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ სპეციალისტი იძენს პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რომელიც მას საშუალებას აძლევს გაერკვეს დაავადებულ ორგანიზმში განვითარებულ ცვლილებებში და შესაბამისად პათოგენეზში და მორფოგენეზში, დასვას დაავადებაზე დიაგნოზი, მოახდინოს დიფერენციალური დიაგნოსტიკა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება სამკურნალო და პროფილაქტიკური საქმიანობის სფეროში. მოამზადოს მასალა ლაბორატორიული სადიაგნოსტიკო გამოკვლევისათვის. დაიცვას ადამიანები ცხოველებისა და ადამიანების საერთო დაავადებებისაგან (ზოონოზები). კომპენტენციის ფარგლებში მოახდინოს კვალიფიციური ვეტერინარიული ჩარევები და საექსპერტიზო საქმიანობა.

ხელშემწყობი დისციპლინები საუნივერსიტეტო და სპეციალობის არჩევითი დისციპლინები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: სავეტერინარო გენეტიკა, სავეტერინარო ბიოფიზიკა, მეცხოველეობის საფუძვლები, კერძო ზოოტექნიკა, სავეტერინარო ბიოქიმია, ვეტერინარიის ისტორია, ცხოველთა კვება, საკვებწარმოება, საკვების ჰიგიენა, თევზის დაავადებები, რადიობიოლოგია, ჰუმანიტარული, აგრობიოლოგიური, აგროსაინჟინრო, კვების პროდუქტების ტექნოლოგია, ეკონომიკური, მათი ათვისება ხელს უწყობს დარგისა და სპეციალისტისათვის აუცილებელი ცოდნისა და დამატებითი ჩვევების ჩამოყალიბებას, მთლიანობაში კონკურენტუნარიანი დიპლომირებული ვეტერინარის მომზადებას.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარ-ჩვევები.
3. კოგნიტიური და მეთოდოლოგიური უნარები: ანალიზისა და სინთეზის უნარი. პრობლემის არსში გაგება და გადაწყვეტილების მიღება. დროის დაგეგმვა და ორგანიზების უნარი.
4. კომუნიკაციური უნარები: კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე უცხო ენის ცოდნა.
5. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.
6. სოციალური უნარები-პროფესიული და ინტერპერსონალური კომუნიკაციური უნარები, გუნდური მუშაობის უნარები.
7. სისტემური უნარები სწავლის უნარი, კვლევის უნარი, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი, პროექტირებისა და დაგეგმარების უნარი:

დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები სავეტერინარო მედიცინაში

დიპლომირებული ვეტერინარი

| | ცოდნა და გაცნობიერება |
|---|--|
| ფუნდამენტური მეცნიერებების ცოდნა | გააჩნია ცოდნა: ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ურთიერთკავშირის კანონზომიერების შესახებ, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესებისა და მოვლენების ძირითადი კანონზომიერების შესახებ. უჯრედების ქსოვილებისა და ორგანიზმის სისტემების სტრუქტურისა და განვითარების კავშირის შესახებ მათ ფუნქციასთან, ნორმასა და პათოლოგიაში. მიკრობიოლოგიური და იმუნოლოგიური დიაგნოსტიკის შესახებ. ცხოველთა ჯანმრთელობაზე გარემოსა და პროფესიული ფაქტორების გავლენის კანონზომიერებების შესახებ. შემეცნების თანამედროვე მეთოდების არსის შესახებ. იცნობს და ესმის ცხოველის ნორმისა და პათოლოგიის შემსწავლელი მეცნიერებების ძირითადი სამეცნიერო კონცეფციები. |
| კლინიკური მეცნიერებების ცოდნა | ფლობს დაავადების მექანიზმს, ინფექციის, ინვაზიის, არაგადამდები დაავადებების დიაგნოსტიკის, დიფერენციული დიაგნოსტიკისა და მართვის საფუძვლებს. დაავადების მკურნალობისა და პროფილაქტიკის უნარ-ჩვევებს. |
| ხელშემწეობი მეცნიერებების ცოდნა | ფლობს საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და სტატისტიკურ მეთოდებს; სოციოლოგიის საფუძვლებს. შესწევს უნარი პრაქტიკაში გამოიყენოს კვლევა და ვეტერინარიის პრინციპები. |
| პროფილური ცოდნა | უნარი შესწევს: - დაავადების სპეციფიკიდან გამომდინარე მოახდინოს შესაბამისი სამკურნალო და პროფილაქტიკური ჩარევა კომპეტენციის ფარგლებში; - თავიდან აიცილოს და დაიცვას ადამიანები ცხოველისა და ადამიანის საერთო დაავადებებისაგან (ზოონოზები); |
| დარგობრივი ეთიკა | იცნობს სავეტერინარო საქმიანობის ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებს, კოლეგებთან ურთიერთობის პრინციპებს, გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა და სავეტერინარო პრაქტიკაში ეთიკის და სამართლებრივი პრინციპების გამოყენების უნარი, კონფიდენციალობის დაცვის უნარი. |
| | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები |
| არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია სავეტერინარო პრაქტიკასა და კვლევაში სამეცნიერო პრინციპების, მეთოდების და ცოდნის გამოყენება, მათი დაკავშირება არსებულ |

| | |
|--|---|
| | პრაქტიკულ პრობლემებთან და გამოყენება შესაბამისი პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტისას. გააჩნია სავეტერინარო პრაქტიკაში სამეცნიერო პრინციპების გამოყენების უნარი, ექსპერიმენტული შედეგების ანალიზისა და გავრცელების უნარი, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების უნარი, პროფესიულ რეგულაციებთან შესაბამისობის უნარი, კარიერაში არჩევანის გაკეთების უნარი. |
| ზოგადი უნარები | |
| 1. კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები | |
| ანალიზისა და სინთეზის უნარი | დამოუკიდებლად შეუძლია მტკიცებულებებზე დაფუძნებული სავეტერინარო პრინციპების, უნარ-ჩვევების და ცოდნის გამოყენება, ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზი. გააჩნია მტკიცებულების პრაქტიკაში გამოყენების უნარი, შესაბამისი ლიტერატურული კვლევის ჩატარების უნარი, კლინიკური დაკვირვების შედეგად მტკიცებულებების დაგროვების უნარი. |
| პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება | შეუძლია მონაცემების ინტერპრეტაცია, შესაბამისი პროფილის კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისთვის მიღებული ცოდნისა და სათანადო მეთოდების გამოყენება. |
| დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი | თავისი კომპენტენციის ფარგლებში შეუძლია შესაბამისი სამუშაოს/პროექტის დაწყებამდე რეალური გეგმის შედგენა, მუშაობის პროცესში სათანადო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება, სამუშაოს შესრულება წინასწარ დადგენილ ვადებში. |
| 2. კომუნიკაციის უნარი | |
| კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე | შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა; აქვს პაციენტის მეპატრონესთან კომუნიკაციის უნარი; გააჩნია სავეტერინარო სფეროში ეფექტიანი კომუნიკაციის უნარი; კოლეგებთან კომუნიკაციის უნარი; შესაბამის სფეროში შეუძლია რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება. |
| უცხო ენის ცოდნა | შეუძლია მთავარი ინფორმაციისა და ძირითადი საკითხების გაგება. ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია განმარტოს გარკვეული აქტუალურ საკითხებისადმი დამოკიდებულება, მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები. შეუძლია სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტის წაკითხვა: ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება. |
| 3. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი | |
| ზოგადი ციფრული კომპეტენცია | იცნობს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. გააჩნია ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების |

| | |
|---|--|
| | სავეტერინარო კონტექსტში გამოყენების უნარი. შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება. გააჩნია ინფორმაციის წყაროების მოძიების, ინფორმაციის შენახვის, დამუშავებისა და გამოყენების უნარი. |
| 4. სოციალური უნარები | |
| გუნდური მუშაობა, ინტერდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი | ეფექტიანად ურთიერთობს მუშაობისას /სასწავლო/ პროფესიულ გუნდში, თავისი კომპენტენციის ფარგლებში შეუძლია პროფესიული მოლაპარაკების წარმოება და მუშაობა ინტერდისციპლინარულ გუნდში. |
| 5. სისტემური უნარები | |
| სწავლის უნარი | შეუძლია დამოუკიდებლად ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა და განსაზღვროს შემდგომი სწავლის საჭიროებები. დამოუკიდებლად მუშაობს დარგობრივ ლიტერატურასთან და რეგულარულად აახლებს ცოდნას. |
| კვლევის უნარი | კვლევით სამუშაოს ასრულებს წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების /ინსტრუქციების მიხედვით ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. გააჩნია: სამეცნიერო კვლევის შედეგების გადმოცემის უნარი, მოკვლეული შედეგების სტატისტიკური ანალიზის უნარი, პრაქტიკული ლაბორატორიული კვლევის ჩატარების უნარი (კომპეტენციის ფარგლებში). |
| პროექტის შემუშავების უნარი | შეუძლია დარგობრივი პროექტების ცალკეული კომპონენტების შემუშავება |
| დამოუკიდებელი მუშაობის უნარი | პასუხს აგებს საკუთარ სამუშაოზე და შეუძლია მისი კრიტიკული შეფასება. კომპენტენციის ფარგლებში შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის ან კოლეგიალური დახმარების პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ ინსტრუქციების შესაბამისად. |

რეზიუმენტი

| | ცოდნა და გაცნობიერება (დარგობრივი) |
|---|---|
| შესასწავლი დარგობრივი სფეროს მეთოდოლოგიის ცოდნა | იცნობს ცხოველის ჯანმრთელობისა და პათოლოგიის ზოგადი და სპეციფიკური ასპექტების მართვის ძირითად პრინციპებს, გააჩნია უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული დრმა და სისტემური ცოდნა სავეტერინარო მედიცინაში. კვალიფიციკურად იყენებს სტატისტიკურ მეთოდებს სამეცნიერო ჰიპოთეზების შემოწმებისას და მონაცემების აღწერისას. იცნობს სავეტერინარო კანონმდებლობას, პროფესიულ რეგულაციის სისტემებს, ვეტერინარიის ხელმისაწვდომობის გზებს. |
| დარგობრივი ეთიკა | გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა, იცნობს და პროფესიულ საქმიანობაში იყენებს სამეცნიერო ეთიკის ძირითად პრინციპებს: ციტირების კულტურას, პლაგიატის კრიტერიუმებსა და დაუშვებლობას, პუბლიკაციაში ავტორობის თანმიმდევრობასთან დაკავშირებულ პრინციპებს. იცნობს სავეტერინარო საქმიანობის ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებს, კოლეგებთან ურთიერთობის პრინციპებს, სავეტერინარო კანონმდებლობის სამართლის ნორმებს და ნორმატიულ დოკუმენტებს და აქვს მისი გამოყენების უნარი პრაქტიკაში. გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა და სავეტერინარო პრაქტიკაში ეთიკის და სამართლებრივი პრინციპების გამოყენების უნარი, კონფიდენციალობის დაცვის უნარი. |
| | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები |
| არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია კომპლექსური კვლევითი პრობლემების გადაჭრა დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით. კვლევითი ამოცანების დაგეგმვა და განხორციელება დამოუკიდებლად და პროფესიულ დონეზე; რთულ და მოულოდნელ სპეციალიზებულ კონტექსტში ქმედება. შეუძლია სავეტერინარო პრაქტიკასა და კვლევაში სამეცნიერო პრინციპების, მეთოდების და ცოდნის გამოყენება, მათი დაკავშირება არსებულ პრაქტიკულ პრობლემებთან და გამოყენება შესაბამისი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას. იცნობს საუკეთესო კვლევითი პრაქტიკის გამოყენების წესებს. ფლობს დარგისთვის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე. მუშაობს ზუსტად და ეფექტიანად. შეუძლია უნარების ადაპტირება ან ახალი უნარების განვითარება შესაბამისი მოთხოვნების პირობებში. გააჩნია სავეტერინარო პრაქტიკაში სამეცნიერო პრინციპების გამოყენების, ექსპერიმენტული შედეგების ანალიზისა და გავრცელების, ექსპერიმენტის დაგეგმვისა და პრაქტიკულ- |

| | |
|---|--|
| | <p>ლაბორატორიულ-კვლევითი პროცედურების განხორციელების უნარი. სავეტერინარო სისტემაში მუშაობის, დაავადებათა პრევენციის, პროფესიულ რეგულაციებთან შესაბამისობის უნარი, პროფესიული შეფასებების მიღებისა და განხორციელების უნარი, ასევე კარიერაში არჩევანის გაკეთების უნარი.</p> |
| | ზოგადი უნარები |
| 1. კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები | |
| <p>ანალიზისა და სინთეზის უნარი</p> | <p>შეუძლია მტკიცებულებებზე დაფუძნებული სავეტერინარო პრინციპების, უნარ-ჩვევების და ცოდნის გამოყენება. აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების ტრანსფორმაცია მოცემული საჭიროებისათვის. კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით რთული, არასრული და/ან წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი და ანალიზის შედეგის ეფექტური მიწოდება, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი შესაბამისი სფეროს უახლესი მონაცემების გამოყენებით. გააჩნია მტკიცებულების პრაქტიკაში გამოყენების უნარი, გამოქვეყნებული სავეტერინარო ლიტერატურის კრიტიკული შეფასების უნარი, შესაბამისი ლიტერატურული კვლევის ჩატარების უნარი, კლინიკური დაკვირვების შედეგად მტკიცებულებების დაგროვების უნარი, მონაცემებისათვის სტატისტიკური ანალიზის გამოყენების უნარი.</p> |
| <p>პრობლემების გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება</p> | <p>შეუძლია არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, განსაზღვროს პრობლემები და მათი გადაჭრისთვის მოიძიოს და გამოიყენოს ინფორმაციული მასალა და ორიგინალური მონაცემები.</p> |
| <p>დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი</p> | <p>შეუძლია შესაბამისი სამუშაოს/პროექტის შესრულების რეალური გეგმის შედგენა და განხორციელება, კვლევითი ჯგუფის წევრების უნარების გათვალისწინებით, წინასწარ დაგეგმილ ვადებში. შეუძლია კვლევითი პროექტის ლოკალური ხელმძღვანელობა.</p> |
| 2. კომუნიკაციის უნარი | |
| <p>კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე</p> | <p>შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია, გამოთქმული აზრების ან წარდგენილი მოხსენების კრიტიკული შეფასება. კვლევის შესახებ კომპეტენტური ან საფუძვლიანი აზრის წერილობით ჩამოყალიბება; აქვს კოლეგებთან და პაციენტის მომვლელთან კომუნიკაციის და მისთვის კონსულტაციის გაწევის უნარი, კომუნიკაციის უნარი ცუდი ამბის განმარტებისას, კომუნიკაციის უნარი ინფორმირებული თანხმობის მოსაპოვებლად, აგრესიის შემთხვევაში კომუნიკაციის უნარი,</p> |

| | |
|---|--|
| | კომუნიკაციის უნარი პირთან, რომელსაც მთარგმნელი ესაჭიროება. შეუძლია შესაბამის სფეროში დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება. |
| უცხო ენის ცოდნა | ფლობს უცხო ენას B2 სარეკომენდაციო დონეზე. კომუნიკაცია შეუძლია რთული, ვრცელი ტექსტის გაგება და მასში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. შეუძლია საუბარი ყოფით, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე. კითხვა შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტის გაგება. წერა შეუძლია ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი თემების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა. |
| 3. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი | |
| ზოგადი ციფრული კომპეტენცია | თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას ვებრინარისათვის სპეციფიკურ კონტექსტში. ფლობს ძირითად სტატისტიკურ მეთოდებს, შეუძლია ახალი სპეციფიკური კომპიუტერული პროგრამების დამოუკიდებელი ათვისება. იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამეცნიერო მონაცემების დამუშავებისას. |
| 4. სოციალური უნარები | |
| გუნდური მუშაობა, ინტერდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი | შეუძლია შესაბამის პროფესიულ გუნდში ეფექტიანი მუშაობა, როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში. შეუძლია ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება; კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება, ინტერდისციპლინურ და საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფებში წარმატებით მუშაობა. |
| 5. სისტემური უნარები | |
| სწავლის უნარი | შეუძლია დამოუკიდებლად აიმაღლოს ცოდნა, როგორც საკუთარ, ასევე მომიჯნავე სპეციალობებში. იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს. რეგულარულად ეცნობა სამეცნიერო პერიოდიკას და იცნობს დარგის თანამედროვე პრობლემებს. აქვს უნარი შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, განსაზღვროს შემდგომი სწავლის მიზანშეწონილობა და ორგანიზაციული უზრუნველყოფა. |
| კვლევის უნარი | დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. გააჩნია სამეცნიერო კვლევის შედეგების ანალიზისა და გადმოცემის უნარი, მოკვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზის |

| | |
|------------------------------|--|
| | უნარი, ექსპერიმენტული კვლევის დაგეგმვის უნარი, პრაქტიკულ ლაბორატორიული კვლევის ჩატარების უნარი (კომპეტენციის ფარგლებში). სავეტერინარო კანონისა და კანონმდებლობის ცოდნა კვლევასთან მიმართებაში. |
| პროექტის შემუშავების უნარი | შეუძლია დარგობრივი პროექტების შემუშავება და მართვა. |
| დამოუკიდებელი მუშაობის უნარი | არის დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული სწავლისა და მუშაობის პროცესში. იჩენს ინიციატივას და პირად პასუხისმგებლობას პროფესიულ საქმიანობაში. |

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი

| • სწავლის შედეგი/ კომპეტენცია | დიპლომირებული ვეტერინარი | რეზიდენტი | დოქტორანტი |
|--|--|--|--|
| ცოდნა და გაცნობიერება დარგობრივი | | | |
| <p>• შესასწავლი დარგობრივი სფეროს მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეთიკის ცოდნა</p> | <p>გააჩნია დარგობრივი სფეროს უახლესი და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის გამოყენებით და მომიჯნავე სფეროში. აცნობიერებს ვეტერინარიისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეუძლია ეთიკური დილემის გადაჭრა; ფლობს მეცნიერების თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების უნარ-ჩვევებს; განვითარებული აქვს კრეატორული და ინოვაციური საქმიანობის უნარი; იცნობს სავეტერინარო კანონმდებლობის სამართლის ნორმებს და ნორმატიულ დოკუმენტებს.</p> | <p>გააჩნია დარგობრივი სფეროს უახლესი და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის გამოყენებით და მომიჯნავე სფეროში. აცნობიერებს ვეტერინარიისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეუძლია ეთიკური დილემის ანალიზი, მართვა და გადაჭრა; შეუძლია ეროვნული და ევროპული სავეტერინარო კანონმდებლობის გამოყენება კლინიკურ მკურნალობაში და ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაში; იცნობს და იყენებს სავეტერინარო ეთიკისა და სამართლის პრინციპებს (კონფიდენციალობის დაცვის უნარი); იცნობს სავეტერინარო კანონმდებლობის სამართლის ნორმებს და ნორმატიულ დოკუმენტებს და აქვს მისი გამოყენების უნარი პრაქტიკაში.</p> | <p>გააჩნია დარგობრივი სფეროს უახლესი და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც დარგობრივ სფეროში პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა. შეუძლია ეთიკური დილემის ანალიზი, მართვა და მათი გადაჭრა, სრულად ფლობს და ქმნის დარგისათვის სპეციფიკურ (თეორიულ და კვლევით) მეთოდებს.</p> |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები (დარგობრივი) | | | |
| <p>• დარგობრივი სფეროს შესახებ არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>გადაუდებელი სავეტერინარო დახმარების (პირველადი დახმარება) გაწევის უნარი საბაზისო ცოდნიდან გამომდინარე კომპეტენციის</p> | <p>გადაუდებელი სავეტერინარო დახმარების (პირველადი დახმარება) გაწევის უნარი. (გადაუდებელი სავეტერინარო მედიცინის მწვავე მდგომარეობის</p> | <p>დამოუკიდებლად გადაუდებელი სავეტერინარო დახმარების (პირველადი დახმარება) გაწევის უნარი; პროფესიულ დონეზე ბაზისური პირველადი დახმარე-</p> |

| | | | |
|--|--|--|--|
| | <p>ფარგლებში. (გადაუდებელი სავეტერინარო მედიცინის მწვავე მდგომარეობის ამოცნობისა და შეფასების უნარი; ბაზისური პირველადი დახმარების ჩატარების უნარი; კლინიკური სიტუაციის შეფასება; დიფერენციული დიაგნოსტიკა, გამოკვლევებისა და მკურნალობის გეგმის შედგენა. პრაქტიკული უნარ-ჩვევები (მაგ., ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გამოკვლევების ჩატარება, ვენეპუნქცია, კანქვეშ და კუნთში ინექციის გაკეთება, წამლის ინტრავენურად შეყვანა, ნაკერის დაღება, სისხლისა და შარდის ანალიზის ჩატარება, პაციენტის გადაყვანა და მასთან მოპყრობა. სავეტერინარო პრობლემების განხილვისას მონაწილეობის მიღების უნარი; მტკიცებითი სავეტერინარო მედიცინის პრინციპების გამოყენების უნარი, ვეტერინარიის დარგში; ვეტერინარიის დარგში საკითხების გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობის უნარი; მედიკამენტების გასაგებად და აკურატულად გამოწერის უნარი; შესაბამისი წამლის კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირების უნარი; მკურნალობის შესაბამისობის განხილვის, შეფასების და პოტენციური</p> | <p>ამოცნობისა და შეფასების უნარი; ბაზისური პირველადი დახმარების ჩატარების უნარი; კლინიკური სიტუაციის შეფასება, დიფერენციული დიაგნოსტიკა; გამოკვლევებისა და მკურნალობის გეგმის დამოუკიდებლად შედგენა და მედიკამენტების დანიშვნა; პრაქტიკული უნარ-ჩვევები (მაგ., ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება, ვენეპუნქცია, კანქვეშ და კუნთში ინექციის გაკეთება, წამლის ინტრავენურად შეყვანა, ნაკერის დაღება, სისხლისა და შარდის ანალიზის ჩატარება, პაციენტის გადაყვანა და მასთან მოპყრობა); სპეციალობიდან გამომდინარე სხვა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენების უნარი. სავეტერინარო მედიცინის პრობლემების განხილვისა და დისკუსიაში მონაწილეობის მიღების უნარი; პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების შეფასების უნარი; მტკიცებითი სავეტერინარო მედიცინის პრინციპების გამოყენების უნარი; სავეტერინარო პრაქტიკაში სამეცნიერო პრინციპების გამოყენების უნარი; ექსპერიმენტული შედეგების ანალიზისა და გავრცელების</p> | <p>ბის ჩატარების უნარი; ევროპის გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური პირველადი დახმარების და მწვავე მდგომარეობის მკურნალობის უნარი; მოქმედების უნარი რთულ და მოულოდნელ/სპეციალიზირებულ კონტექსტში, ახალ ან სრულიად უცხო გარემოში; ცოდნის და უნარ-ჩვევების გამოყენების უნარი; თეორიული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის უნარი; თვითონ ან მისი ხელმძღვანელობით თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის მეცნიერულ დონეზე განხორციელების უნარი; ლექცია-ლაბორატორიული მეცადინეობების წარმატებით წარმართვის უნარი; ახალი სიტუაციისათვის უნარების ადაპტირება ან ახალი უნარებისა და/ან პროცედურების განვითარების უნარი; ახალი ცოდნის, ახალი მეთოდების და მიდგომების შემუშავების უნარი.</p> |
|--|--|--|--|

| | | | |
|---|---|--|---|
| | სარგებლობისა და რისკის განსაზღვრის უნარი; ტკივილისა და დისტრესის სამკურნალოდ წამლის დანიშვნის უნარი). | უნარი; სავეტერინარო სისტემაში ეფექტურად მუშაობისა და გამრავლების ბიოტექნოლოგიის საკითხებზე მუშაობის უნარი. | |
| ზოგადი უნარები | | | |
| 1. კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები | | | |
| <ul style="list-style-type: none"> ანალიზისა და სინთეზის უნარი | <p>კლინიკური აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების უნარი; პაციენტის კლინიკური სტატუსის შეფასების უნარი; ცხოველების დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარიულ-სანიტარიული ექსპერტიზის ჩატარების უნარი; ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გეგმის განხილვაში მონაწილეობის უნარი; დაავადების მართვის გეგმის განხილვის უნარი; ინფექციური, ინვაზიური და არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების უნარი.</p> | <p>კლინიკური აზროვნების და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი; ცხოველებისა და ფრინველების დაავადებათა მიზეზების დადგენის უნარი; დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ცხოველების დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარიულ-სანიტარიული ექსპერტიზა და ზედამხედველობის გაწევის უნარი; კლინიკური პრეზენტაციების სირთულის აღქმისა და შეფასების უნარი; პაციენტის მომვლელთან დაავადებასთან დაკავშირებული განმარტებებისა და რჩევის მიცემის უნარი; მედიკამენტების დანიშვნის უნარი; შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნისა და შედეგების ინტერპრეტაციის უნარი; დიფერენციული დიაგნოზის დადგენის უნარი; პაციენტის მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვის უნარი, პროფილაქტიკური, სამკურნალო,</p> | <p>კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზის უნარი; ახალი მიდგომების სინთეზის უნარი; დარგობრივ სფეროში ახალი მეთოდოლოგიის განვითარების უნარი; ექსპერიმენტის დამოუკიდებლად დაგეგმვის და კვლევის შედეგების საჯაროდ წარდგენის და დაცვის უნარი.</p> |

| | | | |
|--|---|---|--|
| | | გამაჯანსაღებელი და ეპიზოტის საწინააღმდეგო ღონისძიებების გეგმების შედგენისა და ჩატარების უნარი; სასამართლო-სავეტერინარო ექსპერტიზის დროს კვალიფიციური გადაწყვეტილების მიღების უნარი. | |
| <ul style="list-style-type: none"> პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება | შეუძლია არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, განსაზღვროს პრობლემები და მათი გადაჭრისათვის საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი რესურსები. | დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიული და კომპლექსური პრობლემების განსაზღვრა და მათი გადაჭრა, იცნობს და საჭიროების შემთხვევაში ეფექტიანად იყენებს დამატებით რესურსებს. | დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიული და კომპლექსური პრობლემების განსაზღვრა, მათი გადაჭრისათვის ახალი იდეების და მეთოდების შემუშავება და გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში ეფექტიანად იყენებს სხვა სპეციალისტების რესურსებს. |
| <ul style="list-style-type: none"> დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი | თავისი პასუხისმგებლობის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის შედგენა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება, ჯგუფის გამოცდილ წევრებთან, ხელმძღვანელთან კონსულტირება. | დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს (საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელობს) სამუშაოს საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით. | დამოუკიდებლად გეგმავს და ხელმძღვანელობს ჯგუფის მუშაობას, დამოუკიდებლად შეიმუშავებს ახალ პრიორიტეტებს და მართავს განხორციელების პროცესს. |

| 2. საკომუნიკაციო უნარი | | | |
|---|--|---|---|
| <p>– კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე</p> <p>– უცხო ენის ცოდნა</p> | <p>– შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა; აქვს პაციენტის მეპატრონესთან კომუნიკაციის უნარი; აგრეთვე კომუნიკაციის უნარი პირთან, რომელსაც მთარგმნელი ესაჭიროება.</p> <p>– B1 დონე.</p> | <p>– შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია; აქვს კოლეგებთან და პაციენტის მეპატრონესთან და მომვლელთან კომუნიკაციის და მათთვის კონსულტაციის გაწევის უნარი; ინფორმირებული თანხმობის მოსაპოვებლად წერილობითი კომუნიკაციის უნარი (სავეტერინარო ჩანაწერების ჩათვლით); კომუნიკაციის უნარი პირთან, რომელსაც მთარგმნელი ესაჭიროება – B2 დონე.</p> | <p>შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში რთული და სადაო ინფორმაციის მკაფიო და ეფექტური გადაცემა. არის აღიარებული კონსულტანტი.</p> <p>C2 დონე – პროფესიონალი მცოდნე (დარგობრივ სფეროში) კომუნიკაცია – შეუძლია პრაქტიკულად ყველაფრის გაგება, ინფორმაციის სინთეზი სხვადასხვა წყაროებიდან, არგუმენტების რეკონსტრუქცია და მათი პრეზენტირება. სპონტანურად და თავისუფლად საუბარი. სასაუბრო ენაში სიტუაციის შესაბამისი ლექსიკისა და ნიუანსების გამოყენება. კითხვა – შეუძლია ნებისმიერი ფორმატისა და სირთულის ტექსტის წაკითხვა და გაგება. წერა – შეუძლია, ანგარიშისა და სხვა ფორმატის ტექსტების წერა; პროფესიული ტექსტების რეზიუმეს დაწერა.</p> |
| 3. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი | | | |
| <ul style="list-style-type: none"> ციფრული კომპეტენცია | <p>იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), მათ შორის დარგობრივ სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; აქვს</p> | <p>იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ</p> | <p>ფლობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის</p> |

| | | | |
|---|---|--|---|
| | კომპიუტერის მოხმარების უნარი, გასაგები და სრული კლინიკური ჩანაწერების შენახვის უნარი, ინფორმაციის წყაროების მოძიების უნარი, ინფორმაციის შენახვისა და გამოყენების უნარი. | კონტექსტში. აქვს ახალი ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სავეტერინარო კონტექსტში ეფექტიანად გამოყენების უნარი. | სპეციფიკურ კონტექსტში. აქვს ახალი ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სავეტერინარო კონტექსტში ეფექტიანად გამოყენების უნარი. |
| 4. სოციალური უნარები | | | |
| ჯგუფური მუშაობა: ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის უნარი | შეუძლია ჯგუფში ეფექტიანი მუშაობა, როგორც წევრს. შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკება და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა. | შეუძლია ჯგუფში ეფექტიანი მუშაობა, როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში. შეუძლია ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება. შეუძლია კონფლიქტური სიტუაციის მართვა. | შეუძლია ჯგუფში ეფექტიანი მუშაობის ხელმძღვანელობა, ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება. შეუძლია კონფლიქტური სიტუაციის მართვა. |
| 5. სისტემური უნარი | | | |
| • სწავლის უნარი | შეუძლია საკუთარი სწავლის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა. | იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს. | იყენებს სასწავლო / სამეცნიერო რესურსების სრულ სპექტრს. |
| • კვლევის უნარი | სავეტერინარო პრაქტიკაში ახალი სამეცნიერო კვლევის შედეგების ანალიზისა და გადმოცემის უნარი; კვლევის შედეგების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენების უნარი. | დაგეგმვის (დიზაინი) უნარი; კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზის უნარი; პრაქტიკულ-ლაბორატორიული კვლევის ჩატარების უნარი (კომპეტენციის ფარგლებში); სავეტერინარო კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული აქტების ცოდნა კვლევასთან მიმართებაში. | დამოუკიდებლად და კომპეტენტურად გეგმავს, ახორციელებს ზედამხედველობას ინოვაციურ კვლევას, იყენებს და თავად შეიმუშავებს კვლევის უახლოეს მეთოდებსა და მიდგომებს. |
| • პროექტის შემუშავების უნარი | შეუძლია აკადემიური პროექტის ცალკეული კომპონენტების შემუშავება. | კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია აკადემიური პროექტის შემუშავება და მართვა. | შეუძლია აკადემიური პროექტის შემუშავება და მართვა. |

| | | | |
|--|---|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> დამოუკიდებლად მუშაობის უნარი | <p>პასუხს აგებს საკუთარ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება და კრიტიკა. შეუძლია მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ ინსტრუქციების შესაბამისად.</p> | <p>არის დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული სწავლისა და მუშაობის დროს; იჩენს ინიციატივას და პირად პასუხისმგებლობას პროფესიულ პრაქტიკაში.</p> | <p>არის დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული სწავლისა და მუშაობის დროს; ხელს უწყობს სხვების სწავლას; აქვს პასუხისმგებლობის გამოკვეთილი გრძნობა და სრულად ავტონომიურია რთულ და მოულოდნელ სიტუაციებში ინიციატივის გამოჩენისას.</p> |
|--|---|---|--|